ოთხშაბათი, 27 თებერვ. 1908 წ.

# ისარი

წლიწადი მეორე—№ 46

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კ., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელ ზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზზე 5 ხაზამდე ღირს 3 მან., ხუთი ხაზის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დიდ წერილებს და კორესპონდენციებს საჭიროების შემთხვევაში შეამოკლებს. წერილები უნდა იყოს მოთხოვნილი ... ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისის გარედ ღირს 1 მან., ხოლო ხნვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ისარი**

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარი წლით: | ერთი თვით: |
|---|---|---|---|
| ტფილისსა და ტფილის გარედ. . . | 7 მ. | 4 მანეთი 50 კაპ. | 90 კაპ. |
| საზღვარ-გარედ . . . . . . | 12 მ. | 6 მანეთი. | 1 მანეთი 50 კაპ. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

**ყოველ თვიური ფასი გაზეთისა:**

| | 1 წლით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფ. და ტფილის გარედ . . . . | 7 | 6—50 | 6 | 5—70 | 5—30 | 4—90 | 4—50 | 4 | 3—80 | 2—60 | 1—80 | 90 |
| საზღვარ-გარედ . | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4—50 | 3—50 | 2—50 | 1—50 |

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1) «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქუჩა, № 1, მილოვის სახლი); 2) «ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების» მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სასახლის ქ., თავად-აზნაურობის ქარვასლა); **ქუთაისში;** ისიდორე კვიცარიძესთან («იმერეთის» წიგ. მაღაზია); **ჭიათურაში:** ს. ტარიელაშვილთან (ჭიათურის ბანკი).

ფოსტით ფული უპათუოდ ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Кочубеевская ул. № 14. И. С. Агладзе.

**წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა**

აუწყებს ყველას, რომ

კვირას, 2 მარტს, მთაწმინდაზე გადახდილი იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი

**ილია ჭავჭავაძის**

სულის მოსახსენებლად

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11½ საათზედ.

(5—1)

მარიამ ზაქარიას ასული ამილახვარი, ნატალია იოსების ასული ციციშვილისა, სოფიო იოსების ასული იოსელიანისა, ანნა და ვასილ იოსების ასული და ძე ფუფუნიშვილები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი—ძვირფას დედის და დანარჩენნი—საყვარელ დის

**კნ. ნინო იოსების ასულ ს ამილახვრისას.**

გამოსვენება და დაკრძალვა მიცვალებულისა ხუთშაბათს, 28 თებერვალს, დილის 10 საათზედ. სოფელ ქვემო ქალაში სამთავრის საკრებულო ტაძრის სადვარეულო აკლდამაში.

(2—144—2)

ვორონცოვის მგვლის პირდაპირ, ნარიმანოვის სახლში გაიხსნა

**ბ უ ფ ე ტ ი**

**„ახალი პურ-ღვინო“**

ბუფეტში მოიპოვება ყოველგვარი ევროპიული და ქართული საჭმელი, მომზადებული მუდამ ახალ სანოვაგისაგან. კახური ღვინოები, საუკეთესო ხაში და ცოცხალი. სისუფთავე სანაქებო. ფასები ყველასათვის ხელ მისაწვდენია.

(25—10)

სააქციონერო საზოგადოება

**„გრამოფონი“**

აქვს პატივი აუწყოს პატივცემულ საზოგადოებას და მუშტრებს, რომ დასახელებული საზოგადოების სადგომი (კოლოვინის პროსპექტი, № 9) დაუყოვნებლივ იქნება შეკეთებული და კვლავინდებურად განახლდება ვაჭრობა აპარატებით, „პლასტინკებით“ და სხვა საგრამოფონო ნივთებით. გზაშია და მალე მოვა დიდ-ძალი საქონელი. გთხოვთ **არავითარი ყურადღება არ მიაქციოთ ტფილისში გავრცელებულ ხმას, ვითომ ტფილისის განყოფილება იკეტებოდეს**

პატივის ცემით „საქციონერო საზოგადოების „გრამოფონ“-ის ტფილისის განყოფილება.

(2—ხ ლ.—2)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ქირურგიული და დედათა სნეულების

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

ე ქ ი მ ი ს ი ვ. გ ო კ ე რ ი ა ს ი

**გაიხსნება ამა წლის 20 თებერვლიდან.**

ადრესი: ტფილისის ქუჩა, სახლი კირიჩენკოსა, „იმპერიალი“-ს სასტუმროს გვერდით. (25—56—20)

ექიმი

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კირპიჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 2 (0—301)

კბილის ექიმი

**ალ. ხოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი პლიევისა. (64)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—61)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—25—17)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმი

**მ ა რ კ ო ვ ს კ ა ი ა**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3-მდე და საღამოს 5—7-დი. ტფილისი ქ. ჩიკვაიძის სახლი, ბინა კნ. დადეშკელიანისა. (25—კვ.—22)

ქ უ თ ა ი ს შ ი

**შინაგან სნეულებით და ბავშვების**

**ექიმი ვ. გ. გაბუნია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 11—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის ღოსპიტლის შესახვევი, გორგიძის სახლში № 5. (25—125—7)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

**დაბრუნდა** და იღებს ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათ. (კვირას გარდა). სლეპცოვსკაია № 5 (ანსტას. ქუჩ. კუთხე). (წ.)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

**განსაკუთრებით** იღებს **ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევში, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—7)

ე ქ ი მ ი

**გ. ნ. მ ა გ ა ქ ი ა ნ ი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლავებისა,** მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავკასნიძისა. (25—წლ.)

ქ უ თ ა ი ს შ ი

**თვალების ექიმი**

**ი. გ. ბ ე რ შ ო დ ს კ ი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 ს. დღისით. ადრესი ჰოსპიტლის ქ., სამხედრო ჰოსპიტლის ეზოში, მარცხნივ. (25—კვ.—5)

კბილის ექიმი

**ე. ა.**

**ბალარჯაშვილი-მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—58—26)

ე ქ ი მ ი

**მ. მ ა შ ა კ ი ძ ე**

**იღებს** შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოობით 5—7 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი. № 92. (წ.-ჯ—00)

მარტის პირველ რიცხვებიდან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული პროფესიონალური, ეკონომიური და მეცნიერულ-პოპულიარული გაზეთი

**„ჩვენი ქვეყანა“**

**გაზეთის ფასი ტფილისში:**

ერთი წლით—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 40 კ., სამი თვით—75 კ.

**პროვინციაში:**

ერთი წლით—3 მ. 10 კ., ნახევარი წლით—1 მ. 70 კ., სამი თვით—90 კ. ცალკე ნომერი ყველგან შვიდი კაპეიკი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს ოთხი საათიდან შვიდ საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Семеновская улица, № 4, редакція газеты „Чвени квекана“.

(5—4)

**მედიცინის დოქტორი**

**მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, **ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს** დილით 9—11 საათ, საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—22)

ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი აძლევს

**ფრანგულ**

**ენის გაკვეთილებს**

გოგოლის ქუჩა, № 55. (10—2)

**ცნობილი აზრუმის თუნდი**

**სარქის ხარიფიანისა**

იყიდება ათ მარტამდის ქუთაისის და მის მაზრისათვის განსაკუთრებით სავაჭრო სახლში.

**„ი. გოკიელოვის შვილების“**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ფასი თითო კოლოფის ექვს მისხლიანის 2 მანეთი 10 კაპ. გამყიდველებისთვის 1 მ. 95 კ.

(7—146—1)

## ტფილისი, 27 თებერვალი.

როდის უნდა მოველოდეთ ჩვენში საერობო თვითმართველობის შემოღებას? ეს საკითხი უნებლიეთ ებადება ყველას სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელ რეზოლიუციის შემდეგ. მკითხველებმა იციან, რომ რეზოლიუცია მოჰყვა მთავრობის კანონ-პროექტს—არსებული საერობო გადასახადები დარჩეს კიდევ ოთხის წლის განმავლობაში. საფინანსო კომისიამ და შემდეგ სახ. სათათბირომ თითქმის ერთხმად დაადგინეს, რომ ამ გადასახადების ნორმა დატოვებულ უნდა იქმნას მხოლოდ ერთის წლით; თან დაუმატეს, რომ ამიერ-კავკასიაში საერობო მეურნეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ადგილობრივ თვითმართველობის დაწესება. ასეთი რეზოლიუცია და დადგენილება თავისთავად გულის-ხმობენ, რომ სახ. სათათბიროს აზრით, ჩვენში ერობა უახლოეს დროში უნდა იქმნას შემოღებული, რადგან აწ არსებული წესი და ნორმა მხოლოდ ერთის წლის ვადით იქმნენ შეწყნარებული. სათათბიროს სურვილი მთავრობისათვის კანონი რომ იყოს, ჩვენში ერობის დაწესების საქმეს დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ იმ ანგარიშით, რომ მომავალ წლის დაასაწყისს, როცა კვლავ დადგება დრო საერობო გადასახადების გაწერისა, სათათბიროს უკვე წარედგინოს კანონ-პროექტი ამიერ კავკასიის ერობისა.

ასეთი უნდა იყოს ბუნებრივი და ლოღიკური დასკვნა და შედეგი სათათბიროს რეზოლიუციისა; მაგრამ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს საქმე ასე ადვილად და ასე მალე არ გადაწყდება. ასეთ ჩვენს რწმენას უმთავრესად ის გარემოება ასაზრდოვებს, რომ დღევანდელმა სათათბირომაც ვერ დაიმსახურა მთავრობისა და რეაქციის ნდობა და დღემდისაც არ შეგვიძლიან დაბეჯითებით იმის თქმა, რომ მესამე სათათბირო დღეგრძელი იყოს... სადამდის მიდის მთავრობის უნდობლობა მისმიერ შექმნილ სათათბიროსადმიც კი, —იმ სათათბიროსადმი, რომელსაც დღემდის არაფერი „დაუშავებია“ თვითმპყრობელ ბიუროკრატიისათვის, — ნათლად სჩანს რამდენისამე თვალსაჩინო მაგალითიდან.

ავიღოთ თუნდ იგივე საკითხი ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ. ორი წლის წინად თვით მთავრობას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდა აწ არსებულ საერობო თვითმართველობის სრული რეფორმა. აღიარებულ იქმნა, რომ ჩვენს დროში, როცა იწყება „დიდი საქმე რუსეთის წესწყობილების განახლებისა“ პირდაპირ ანახრონიზმს წარმოადგენსო წოდებრივი წყობილება საერობო თვითმართველობისა და მისი სრული დამოკიდებულება ადმინისტრაციისაგანო; 1890 წლის დებულებამ დაამტკიცა თავისი უვარგისობა, დააქვეითა ადგილობრივი საერობო მეურნეობა და ერთობ ვიწრო კლასიურს ინტერესებს მისცა უპირატესობა და სხვა და სხვა. ასეთ აღსარებას მართლაც მოჰყვა პროექტი ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმის (და პირველი „საკონსტიტუციო“ სამინისტროები—გორემიკინისა და სტოლიპინისა—პირველ თავის საქმედ აღიარებდნენ ადგილობრივ თვითმართველობის გადაკეთებას... მაგრამ ეს იყო იმ დროს, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა არ იყო ჯერ სავსებით ნაჯობნი და როცა „დაპირებათა სიმრავლე“ ბიუროკრატიას აღიარებული ჰქონდა რევოლიუციის საწინააღმდეგო იარაღად. ახლა ასეთი იარაღი ხაჭიროდ აღარ მიაჩნიათ და ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმაც უკანა რიგებში იქმნა გადაწყობილი, როგორც სხვა დაპირებანი რუსეთის „დრანგ უნდ შტურმ“-ის დროისა. ეს კიდევ ცოტაა და ამაში არ გამოიხატება ის უნდობლობა სახ. სათათბიროსადმი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით. საქმე ისაა, რომ მთავრობამ უკანვე წაიღო თავისი კანონ-პროექტები ერობის შესახებ და წარმოუდგენელის ურცხვობით განაცხადა, სანამ სათათბიროს წარედგინება ეს პროექტი, იგი განხილულ და შესწორებულ უნდა იქნას განსაკუთრებულ საბჭოშია, რომელიც არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაო! ძველი და ნაცადი გზა: ათასგვარი ბიუროკრატიული კომისია-საბჭოები რეფორმის რაც შეიძლება გადადებისა და დამახინჯებისათვის. მთავრობამ ამითაც საკმაოდ გვიჩვენა რამდენად გულწრფელი მომხრეა „ახალ საკანონმდებლო წესწყობილებისა“: თავის მორჩილ სათათბიროსაც არ ენდო და „მოხერხებულ დრომდე“ გადასდო იმ საქმის განხორციელება, რომელიც შარშან მიაჩნდა საჩქარო და აუცილებელ საჭიროებად...

მეორე მაგალითიც ასეთივე მჭერმეტყველურია. საქმე შეეხება რუსეთის ადგილობრივ საადმინისტრაციო მართვა-გამგეობისა და აგრეთვე ადგილობრივ სასამართლოს რეფორმას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ მმართველობის წეს-რიგის შეცვლის საჭიროებას თვით უთვითმპყრობელესი ბიუროკრატი პლევეც გრძნობდა; „საკონსტიტუციო სამინისტროები“-კი ამ საქმესაც პირველ რიგში აყენებდნენ ერთი-ორი წლის წინად; ადგილობრივ სასამართლოს რეფორმას კიდეც იხილავდნენ მეორე სათათბიროში, მესამეშიაც სათანადო კომისია არჩევს მას და, როგორც სწერდნენ, მალე კიდეც გაათავებსო. მაგრამ, ბოლო დროს თავად-აზნაურთა კრებებმა და საგუბერნიო ერობებმა—შავრაზმელთა ამ დღევანდელ ციტადელებმა—განაცხადეს: ასეთ დიდ საქმეს, როგორც ადგილობრივ მართვა-გამგეობის მთელი სისტემის შეცვლაა, უჩვენოდ ვერავის ვენდობითო. როგორც ოპოზიციონური პრესსა განმარტავს, ეს „მოულოდნელი მოთხოვნა“ რეაქციონურის წრეებისა არც ისე მოულოდნელი უნდა იყოს და მთავრობისგან შთაგონებული არისო. ამიტომ ადვილად შესაძლებელია ეს საკითხებიც გადაეცეს რომელსამე ბიუროკრატიულს კომისია-საბჭოს და მხოლოდ შემდეგ, უფრო „მოხერხებულ დროს“ წარედგინოს სათათბიროს.

მოვიგონებთ მესამე მაგალითსაც, რომლის შესახებ ერთის კვირის წინ მოგვიტანეს ამბავი პეტერბურგის გაზეთებმა: უწმ. სინოდი პროტესტს აცხადებს სათათბიროს იმ კომისიის მუშაობის გამო, რომელსაც საეკლესიო საკითხები აქვს განსახილველათო; სინოდი მოითხოვს სახელდობრ, რომ სინოდის თავისუფლების კანონ-პროექტის შემუშავება შეჩერებულ იქმნას იმ დრომდე, სანამ წმიდა და სუ-

ორით თვითმპყრობელი მამები არ შეა-ლდგენენ თავის საკუთარ კანონპროექტს...

ასეთია ის ნიადაგი, რომელიც დაიმსახურა რუსეთის სახალხო წარმომადგენლობამ. ანდა წარმომადგენლობა, რაღა უნდათ უკეთესი [illegible]? სოციალ-დემოკრატები [illegible] მორჩილი ემიგრანტობა [illegible] ხომ, რომელიც ყოველ მათ ნებას მოწინე ასრულებს? მაგრამ სამეფო [illegible] ჯერ არ შეწირებულა და [illegible] მოუწყობით გამარჯვებით —მ იგენის კანონი—არ დაკმაყოფილებულა; ის მარტოდ მოწინ თავდადებ და დღეისათვის [illegible] თავის [illegible] კანონმდებლობა [illegible] ...

## ახალი ამბავი

✦ **ჟანდარმთა როტმისტრის რუსინის მოკვლა.** 25 თებერვალს, საღამოს 8 საათზე და 45 წუთზე, ვერის დაღმართზე ჟანდარმთა მოხელეს ტფ. ჟანდარმთა საგუბერნიო სამართველოს უფროსის თანაშემწე როტმისტრი ვლადიმერ რუსინი. ამ დროს ტრამვაი (№-30 №) ვაგონი მიდიოდა ვერის დაღმართზე. ვაგონში მჯდარა რუსინი. როდესაც ვაგონი ვერის ხიდს გასცილდა, [illegible] ვაგონში ვიღაც უცნობს რუსინისათვის სამჯერ [illegible] რევოლვერი. უცნობი, როგორც ეტყობა, იმავე ვაგონში ყოფილა. ორი ტყვია ტვინში გაუვლია და მარჯვენა [illegible] თვალში გამოუვარდნია. მესამე ტყვია ყბაში გაჩერებულა. ვაგონში [illegible] სროლით დამფრთხალი ხალხი [illegible]. როდესაც პოლიცია გაჩნდა, ცარიელი ვაგონის, [illegible] კონდუქტორის მეტი ვერავინ უნახავს. პოლიცია [illegible] შემდეგ აღმოჩენილი.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომაზე 25 თებერვალს ხმოს. ვართანოვმა განაცხადა, რომ საბჭოს კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა არ იკრიბება; არ მუშაობენ საბჭოს სხვა კომისიებიც. საჭიროა საბჭომ დაადგინოს, რომ კრება სამის წევრის დასწრებით კანონიერად იქნეს ცნობილი. ამ ჟამად ქალაქში სახადი გაძლიერდა, კომისიამ უნდა გააკეთოს რამე, მაგრამ არ იკრიბებიან. თავმჯდომარემ სთხოვა ხმოსნებს, ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. ხმ. ვართანოვი იმასაც შეეკითხა თავმჯდომარეს, რატომ არ წარმოადგენთ აწ უკვე დაკეტილი ქალაქის ხორცის დუქნების ანგარიშსაო. თავმჯდომარემ სთქვა, ანგარიში სარევიზიო კომისიას გადაეცა, მაგრამ ჯერ არ განუხილავს. შემდეგ საბჭომ განიხილა მოხსენება ტფილისში სახადის (ტიფი) გავრცელების შესახებ. იანვარში 4 კაცი გამხდარა ავად, ხოლო თებერვალში—21. სასანიტარო სამკურნალო საბჭოს აზრით, უნდა დაარსდეს დროებით საავადმყოფო. ორის თვით ქალაქმა ამისთვის უნდა გადასდოს 2700 მან. საავადმყოფოში იქნება 25 საწოლი. გამგეობამაც მიიღო ეს აზრი. საბჭომ მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცა დადგენილება. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. საყასპოსა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შესანახად საბჭომ გადასდო 255,161 მან., სკოლებისათვის 241,202 მან., სამკურნალო სასანიტარო და საბჟითლო ნაწილისთვის 216,970 მან., ვალების გასასტუმრებლად 293,901 მან. საბჭომ დაასრულა ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ **მძიმედ თავის დაჭრა.** 25 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისში გიორგი ალ.-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ რევოლვერით თავი დაიჭრა. ტყვია ექიმებმა ჯერ ვერ ამოიღეს. მიზეზი არ იციან.

✦ **ინჟინერი ყაზბეკი.** ხმა დადის, რომ რკინის გზის მთავარ სახელოსნოების უფროს ინჟინერ ყაზბეგს ნიშნავენ „ტიაგის" ნაწილის უფროსად („ზაკავ.").

✦ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება.** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, ნება დართოს საზოგადოებას თავისი განყოფილებანი შემდეგ ქალაქებში: თელავსა, ბათუმსა, ახალქალაქსა, გუმბრსა, გუდაუთსა, ერევანსა, ვაგარშაპატსა, არმავირსა, ნახიჩევანსა, ახალციხესა, შუშასა, სტავროპოლსა, დილიჯანსა, განჯასა, ყაზახსა, კარავანსარაისა, ხაჩათალასა და ეკატერინოდარში. მთავრობამ უკვე დართო ნება საზოგადოებას გახსნას განყოფილება ბათუმსა, ერევანსა და ვაგარშაპატში.

✦ **მკვლელობა.** 23 თებერვალს ნავთლუღიდან ტფილისში მინავლებულა ადგილობრივ ნავთის სამრეწველოში მომუშავე ოჰანეზ ტერ-მინასოვი. მანთაშევის ბაღთან ვიღაცეებმა მოჰკლეს ტერ-მინასოვი. მეორე დღეს ტერ-მინასოვი უნახავთ ყელ გამოჭრილი, მუცელ გამოღადრული, ბეჭდიან თით მოჭრილი და მთლად დასახიჩრებული.

✦ **კონცერტი ი. კარგარეთელის სასარგებლოდ.** ქარ. ფილარმონიული საზოგადოება მართავს კონცერტს ი. კარგარეთლის სასარგებლოდ. კონცერტი გაიმართება 23 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში.

✦ **სოლოლაკის გორაზე სამოსახლო ადგილების გაცემა.** სოლოლაკის გორა ტფილისში მიწათ-მოქმედების უწყების ხელშია. ეხლა ამ უწყებას აზრადა აქვს, ამ გორის ფერდობები ნაჭრებად დაჰყოს და სამოსახლოებად გასცეს მსურველებზე. უწყება შეეკითხა ქალაქის გამგეობას, სასურველია თუ არა მიწების გაცემაო.

✦ ტფ. გუბ. გუბერნატორის განკარგულებით, ეს რამდენიმე დღეა ტფ ქუჩებში წიგნის მაღაზიაში პოლიცია ფიცხლად დაუქებს 1908 წლის „დროების კალენდარს", რომელიც აკრძალულ იქნა. ზოგიერთ მაღაზიებიდან კიდევ წაუღიათ რამდენიმე ცალი.

✦ ქ. თელავში 19 თებერვალს დილით ვიღაც უცნობი შესულა დ. სიმონოვის მაღაზიაში რიყეზე და თუთუნი მოუთხოვნია. როცა სიმონოვს გადაუცია, უცნობს ორჯელ რევოლვერი დაუხლია თავში. ორივე ტყვია ასცდენია, მხოლოდ ცოტათი ყური გაუკაწრავს. სიმონოვს გონება არ დაუკარგავს, გირისთვის წამოუგლია ხელი და გამოხდევნებია, მაგრამ ვერ დასწევია. 21 თებერვალს ნაშუადღევის 3.4 საათზე, ბულვარის მახლობლად აფთიაქის საწყობის წინ რამდენიმე შეიარაღებული კაცი დასცემია თავ. ს. გ. ვახვახიშვილს და სროლა აუტეხია, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ახალგაზდა 21 წლის ყმაწვილი. ამ მკვლელობამ მცხოვრებნი აღაშფოთა. ამ დღისათვის დანიშნული ილიას (ჭავჭავაძის) საღამო აღარ შესდგა, თუმცა ყველაფერი მომზადებული იყო და 23 თებერვლისათვის დანიშნული საქველმოქმედო საღამოც გადაიდო.

✦ 24 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ბარონის ქუჩაზე ნატალია სარქისოვის ბინაზე, მაგიდიდან გადავარდნილა ადუღებული სამოვარი და წყალი გადასხმია სარქისოვთან სტუმრად მყოფ 7 წლის ყმაწვილს სურამ პოპოვიანცს. დამწვარი ბავშვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

—

**შეცდომის გასწორება.** «ისარი»-ს მე-41 ნომერში, 20 თებერვალს თელავიდან მოწერილ კორესპონდენციაში, ქალის გატაცების მხარეზე, კორექტურული შეცდომაა შეპარული: დაბეჭდილია: „...სტრაჟნიკებს ორი კაზაკი იქმნა დაპატიმრებინათ"... უნდა იყოს: „ავაზაკი იქმნა დაპატიმრებინათ და სხვა". დაპატიმრებულნი ადგილობრივი მცხოვრებნი აღმოჩნდნენ.

## პროვინციის ცხოვრება

—

ს. **სართიჭალა** (ტფილისის მაზრ.). ოცი-სამი წლის მოუსავლიანობამ ხალხი მეტის მეტ გაჭირვებაში ჩააგდო; ძნელად თუ 150 კომლში ოცი-სამი მეკომური მოიძებნოდეს, რომ საზრდო გაზაფხულამდის ჰყოფნის, კოდა პური ღირს 6 მანეთად, მაგრამ ან პური სად არის და ან ფული? შინაურ პირუტყვის საკვები ხომ სრულებით არ მოიპოვება; ხალხმა შემოდგომითვე საქონელი მინდვრად გარეკა და თვალიდან მოიშორა, მაგრამ იქაც უსაშველობით გხოცება. გაჭირვებული ხალხი მაინც მოიმედე იყო რომ ამ ზაფხულს მოსავალი მოგვცა და სულს მოვიბრუნებთო, მაგრამ იმედი უცრუვდება: ამ ბოლო დროს სამინელმა ქარებმა ჭირნახულს ის დღე დაჰმართა, რომ ძალიან ფუსფუსად ამოაგდო ნიადაგიდან, აბა ამის მნახველს რაღა იმედი ქონდა ჰქონდეს!

1906 წელს სართიჭალის საზოგადოებამ ყრილობაზე დაადგინა განაჩენი შემდეგის შინაარსისა: რადგან ჩვენი საზოგადოების რამდენსამე წევრს აქვს საზიდარი ადგილი და უადგილობის გამო შევიწროებულია, ამისათვის ერთხმად ვადგენთ ჩამოვართვას სიკუდს ნაყოფს შამეტებული ცარიელი ადგილი სოფლის მამულიდან და მიეცეთ უსახლკაროდ ჩვენს გაჭირვებულ ძმებსაო. ეს განაჩენი წარუდგინეს დასამტკიცებლად მომრიგებელ შუამავალს ბ-ნ მახარაძეს, რომელმაც სინამდვილე შეამოწმა. დადგენილება არ მოეწონა ტერტერაშვილს, რომელსაც ნაწილი სოფლისაგანვე მიეცემოდა ჩამოერთმევა, ხსენებულმა ტ—შვილმა საქმე განასაჩივრა ტფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლესთან. დღეს სასამართლოს ბოქაულისაგან საზოგადოებას უწყება მოუვიდა, რომ თანახმად მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებისა, ორი კვირის განმავლობაში ის ადგილი უკანვე უნდა ჩააბაროთ ტერტერაშვილსაო. ხალხი ფიქრობს—განაჩენი თუ უკანონოდ შევადგინეთ, მომრიგებელმა შუამავალმა რად დაამტკიცა, ხოლო თუ კანონიერი იყო, მომრიგებელმა მოსამართლემ რადაღ დაარღვიაო. ასე სჩანს: ერთი იცხოვრებს და ასი სიმშილით მოკვდებაო.

**ნ. ბარ—შვილი.**

—

**დაბა საჩხერე.** 19 თებერვალს დაბა საჩხერეში ბოქაულმა გვიდიამ შეიპყრო ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებლები კ. ჯაფარიძე და ა. მაჭავარიანი; ჭიათურის სამრეწველო სკოლისა—ა. მაჭარაშვილი და ქორეთისა—გ. [illegible]. რომელთაც სხვა და სხვა კალენდრებს წევნებით 19 თებერვალი უქმედ ეცნოთ და სწავლა შეეწყვიტათ სამი ამათგანი: ჯაფარიძე, მაჭავარიანი და მაჭარაშვილი შეერეკა თავისს კანცელარიაში და სთხოვა პასუხი, რად იუქმეთ წარმოადგინეს სამასწავლებლო კალენდარი, სადაც ეს დღე გამოცხადებული იყო უქმედ; მაგრამ არაფერი არ მიიღო, მხოლოდ უთითებდა კალენდარზე, რომელიც მაგიდაზე ედვა და ამბობდა, კალენდარი მხოლოდ ეს არისო! ბოლოს ერთ მასწავლებელს უთქვა, რომ დღეს ბევრგან სწავლაც მაგ. დ ჭიათურაში უქმობენო. მაშინ ბოქაული ტელეფონით შეეკითხა ჭიათურის ადმინისტრაციას, სკოლებში მეცადინეობა არის თუ არაო? პასუხად მიიღო—არ არისო. ამის შემდეგ ბოქაულმა აღნიშნა მასწავლებლების გვარი და სახელი და გაუშვა.

**დ—შვილი.**

### მცირე შენიშვნა

(ხეობელის და ია ეკალაძის წერილის გამო)

გაფიცებებით თავდაპირველ ვადევნებ ბ-ნ ხეობელის წერილებს „ნიშადურში". „აზრის" მე-18 №-ში წავიკითხე შენიშვნა ხეობელის მამარა მოსთხოვენ დასაბუთოს ყველა მოთხრობილი საზიზღარი ამბავი. მე, როგორც გაცნობილი და მასთან შესისხლხორცებული ქართლის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, თამამად ვამტკიცებ ყველა იმას, რასაც ხეობელი გამოსთქვამს ქართლის ქარ-ტეხილიდან. დიახ, ყოველი მისი სიტყვა ან მოთხრობილი ამბავი ნამდვილი ფაქტია. ნეტავ, რად იფარავენ ნიღაბს ის ვაჟბატონები, რომელთაც „სოც.-დემოკრატია სოფლად" ის ავტორი გულისხმობს და „ნიშადურის" სვეტს ფარულად სარკეში იხედებენ და ეკალაძე სამართლიანად ადარებს ქვედაფერს „ისრის" მე-42 №-ში; იქ ნათლად სჩანს ძალიან მაცხოვრე სოც.-დემ. თაიბები და ხეობელის წერილების სიმართლეც გამეორებ, მე როგორც კარგად გაცნობილი გლეხობასთან, ვამოწმებ, რომ ყველა მოთხრობილი ამბავი ნამდვილი ფაქტია. იმ დროს, როდესაც რაზმელ-პროვოკატორებს ცეცხლი არ მოახვედრათ, დედამიწა ქადაგებდა, ესენი ეგდნენ გლეხობას სათავეში, ამათ ხელში იყო დაჩაგრებული გლეხობის სვე-ბედი და თუ „აზრი" ამ ამბებს პროვოკაციად სთვლის, დეე, მაშინდელმა პროვოკატორებმა გაბათილონ რომელიმე ტყუილი ამბავი, მოთხრობილი ხეობელის მიერ. აი, მაშინ დაწვრილებით გაგცემთ შესაფერ პასუხს.

**ნელი.**

## ფელეტონი

### შ ვ ი ლ ი

(შემდეგი[*])

**IX.**

რა მოჩმახა? რეები სთქვა?

ჰკუას ძილს ატანს.

აქაო და მეც ამქარში გავერიოო, ორიგინალობს.

ამ ქარში არ ვიცი და იმ ქარში კი გარევია.

ეხლანდელს სასტიკ კრიტიკის დროს ეგეც გაუტაცნია.

მერე რა საშინელს საგანს წასჭიდებია.

დიახ, მიხთვის საშინელს, რადგან აბა როგორ შეიძლება დაამტკიცო ორჯერ ორის არა-ოთხიანობა. როგორ შეიძლება მისი უარყოფა, რომ დედობრივი გრძნობა, შვილის სიყვარული ბუნებრივი არ იყოს. ან და იყოს ბუნებრივი მხოლოდ დრომდის, შემდეგ კი გაზვიადებული და ავადმყოფური.

მართლაც რა ავადმყოფური აზრია!

რას ნიშნავს დრომდის? ვინ დაუდვა ვადა?

ეს გრძნობაც ისე ღრმაა, ისე ვრცელი, როგორც თვით ცხოვრება, როგორც ყოველი დიადი მოვლენა ცხოვრებაში.

მას ვადები და პორციობით დანიშნული დრო არ უნდა ჰქონდეს.

ათასი საბუთი მომიგროვდა თავში.

ოო, ეხლა რომ აქ იყოს მეგობარი, სრულიად გავუქარწყლებდი ძლიერს შეხანხლულს შეხედულებას. ან და რა სიტყვას ხმარობენ ეხლა ზოგიერთი ჩვენებური ოპონენტები? ჰო... „დავამტვრევდი"!

როგორა სთქვა?

[*]) იხ. «ისარი» № 44.

შვილის სიყვარულით?!

საკუთრების გრძნობისაგან მომდინარეობსო.

დიახ, ვაჟბატონო, მომდინარეობს. მერე რა ნახეთ აქ ცუდი?

ეგოიზმი?

მერე ვითომ ეს გრძნობაც მხეცურია, არა ადამიანური?

თუ ამასაც ვადა აქვს?

აკი ზოგი მოწინავე ამტკიცებს, რომ ეგოიზმიც ცხოვრებაში, თუ უმთავრესი არა, მაინც და მაინც მძლავრი ფაქტორიაო.

მერე და განა მავნებელია მისი არსებობა?

განა ამ გრძნობასაც არა აქვს თავისი დიდებული ისტორია, რომლის კაბადონებიც გამშვენებულია დიად ლვაწლთა მოთხრობათა?

ეს ინდივიდუალისტებს უნდა ვკითხოთ.

მეგობარი კი მართალია, მხოლოდ სამარცხვინოდ არ მიმაჩნია ეს სიმართლე.

მართალია, რომ, როგორც ქეთუნია, ისე სხვისი ბავშვი თავის დღეში არ მეყვარება.

რასაკვირველია, შევიგნებ და შევიწყნარებ, გავიზიარებ კიდეც სხვა ბავშვის შეჭირვებას, შეიძლება დიდ-სულოვნობამ იქამდისაც გამიტაცოს, რომ იმისთვის თავიც გავწირო, მაგრამ ყველა ჩემს საქციელს მაინც თან ეახლება ერთ-გვარი უხილავი ძალ-დატანება.

ჩემი შვილი სულ სხვა რამეა.

მასთან სულ სხვა სულიერის ძაფით ვარ გადაბმული.

მისი ტკივილი ჩემი ტკივილია, მისი გაღიმება ჩემი სამოთხის კარია.

ეს ჩემი სულის, ჩემი თითქო სხეულისაც საუკეთესო ნაწილია, ჩემი სისხლია, ჩემი ხორცი.

დიახ, მართალია მეგობარი.

განსაკუთრებით დიდა!

დედასთან მეც, მამას, ჩრდილი მაყენია, უკანა ვდგევარ

ამ დღეებში ჩემს ცოლს, შეიძლება უნებურადაც, წამოსცდა კიდეც:

ბავშვი ტიროდა.

ვერ გავუგეთ მიზეზი და ტირილი დიდ-ხანს გაგრძელდა.

ხან ეტლში ჩავაწვინეთ, ხან ხელში გვყავდა აყვანილი, მაგრამ არა ეშველა-რა.

მე მაინც თავს დავტრიალებდი.

რა თქმა უნდა, ვცდილობდი, მაგრამ დედასთან შედარებით, ყოველი ჩემი ხელის განძრევა ტლანქი და უხერხული იყო.

ცოლმაც, უთუოდ უფრო ამისათვის, ცოტა მკვახედ შემომძახა:

— გაიწი იქითა! რა შენი საქმეა, მე დამაცალეო!

როგორა გგონიათ, უშველებელი დედის ეგოიზმი არ აღიმართა ჩემს წინაშე?!

ეხლა ახალი კითხვა.

ვის უფრო ეკუთვნის შვილი?

ბუნებამ და ყველაფერმა იგი დედას მიაკუთვნაო.

ჩვენ კი რაღა ვართ მამები?

მხოლოდ გარეგნად ხელის შემწყობი იარაღი?

მაშ აქ კვლავ ჩვენს ეხლანდელს სოციალურ წეს-წყობილებას ხომ არა აქვს დანაშაული?

ეხლანდელს ოჯახს.

ნუ თუ, ღმერთო, მეც ამ კარებამდის მოვედი?

ნუ თუ მართლა ყველა გზას რომში მიჰყევხარ?

აა, ჰხედავთ სად წამოჰყო ჩემმა მეგობარმა თავი!

მომაშორეთ!

**X**

მერე ნეტა რომელი შვილი უფრო უყვართ მშობლებს?

სქესს აქვს აქ რამე მნიშვნელობა თუ სულ ერთია?

აღმიარებია: სანამ ქეთუნია მეყოლებოდა, ვაჟი მენატრებოდა.

ეხლა კი?

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა"...

დედას?

ცოლისათვის არ მიკითხავს.

ისე ხომ გავრცელებულია ის აზრი, რომ მშობლებს უფრო ხშირად პირმშო უყვართ ხოლმეო.

როგორც ახალი ხილი.

მომდევნოები კი ისე საინტერესონი აღარ არიან.

უსამართლობაა არა?

მომდევნოებს ზოგჯერ ისეთი მოვლაც კი არა აქვთ ხოლმე, როგორც პირველს.

ეს შემიმჩნევია.

ღარიბებსა და მდიდრებს ეს ერთ გვარად სჭირთ.

ზოგჯერ ხომ სულ უმცროსს, ნაბოლარას ამოიჩემებენ.

აქაც ეგოიზმი. დაკარგულ წარსულის მოგონება.

საერთო, თანაბარი სიყვარული შვილებისა კი ძვირი მოვლენაა.

როდესაც შვილები ერთგვარად არ უყვართ, შემიმჩნევია, რომ სქესს მნიშვნელობა ეძლევა მშობლების თვალში.

დედა ქალს ირჩევს, მამა—ვაჟს.

რაზედაც დედას ცხოვრებაში გული დასწყვეტია, იმითი თავისი ქალი უნდა გაახაროს, რაც თვით დაჰკარგვია, ის შვილს უნდა ამოაგებინოს.

მამასაც ესეთი სურვილი ეკარნახება.

თავიანთის გამეორებით ამ ქვეყნად უნდათ თავიანთივე ჟინი მოიკლან.

მერე რამდენი შეცდომა უნდა მოსდევდეს ამ გვარ „საგანგებო" აღზრდას,

რათა?

მართალია, ყოველივე მეორდება ქვეყანად, მაგრამ სხვა სახით, სხვა ჩარჩოში.

რადგან ყოველივე ცვლილობს სახეს, ყოველივე მოძრაობს, ყოველივე ტრიალებს...

და ესეთ აღზრდილებს ხელში მხოლოდ გაცრუებულიღა იმედები რჩებათ.

მე არა ვარ ეგეთი მამა.

თუმცა ჩემი მამობა სულ ახალი ამბავია.

არც ვიცი, სხვა შვილები თუ მეყოლა, რა გრძნობა შემიპყრობს, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ...

ჩემი ქეთუნია?

მიყვარს საკვირვლად. ისე, როგორც არავინ და არაფერი არ მყვარებია ამ ქვეყნად.

მიყვარს უანგაროდ, ანგარიშ-მიუცემლად.

აბა ერთი შეხედეთ!

ვინ არ შეიყვარებს ამ ანგელოზსა!

ეხლა სძინავს.

თავის ეტლში თავისუფლად განისვენებს პაწია ადამიანი.

ახალ-მოდის არტახებში აღარ ვხვევთ ეხლა. სრული თავისუფლება აქვს იმის სხეულს მიცემული.

ამიტომაც პაწია ბალიშზე მისვენებულს ორივე ხელი ამოუდია, ერთი გულზე მიუდევს და ერთიც საბნისათვის ჩაუვლია. ეს მსხვილი, მკრივი მიკროსკოპიული თითები, სამაჯურთან თითქო ძაფი შემოუჭერიათო, მიმზიდველად ჩაკეცილი ხორცის კანი; ეს პაჭუა ცხვირი, რომელიც წამდაუწუმ სასუნთქავად იბერება; ეს უმანკო, პაწია მარჯნის ბაგე, რომელიც ეხლა რადასაც ცმაცუნებს, თითქო ძუძუსა სწოვსო; საკვირველის სიმშვიდით ჩამოხურული პაწია ქუთუთოები, რომელთ ქვემოთაც არა ზაკვა, არა ზრუნვა მიწიერ-ბიწიერი არ იმალება; ეს პაწია აბრეშუმი ჯერ კიდევ მეტად თხელი, „სიქა აქაო", ჩვენ რომ ბალანს

## მუშების ცხოვრება

**კიდევ სრულიად რუსეთის რკ. გზ. კავშირი და მისი „კრიტიკოსი" ბ-ნი დეპო.** გაზეთ „იზრის" მე 15 ნომერში ბ-ნ დეპოს კიდევ გამოუქვეყნებია წერილი სრ. რუს. რკ. გზათა კავშირის შესახებ. იმის მაგიერ, რომ ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხი გაეცა, ავტორი მოჰყოლია ლანძღვა-გინებას და ირონიას. როგორც იტყობ, ბ-ნი დეპო კარგა დახელოვნებული ყოფილა ლანძღვა გინებაში, ღმერთმა მოახმაროს. ჩვენ ამაში არ შევეცდებით. ნათქვამია „ძაღლმა ცხენს ვერა დააკლო-რა და უნაგირს დაუწყო მტერობაო", ზედ გამოჰქონია ჩვენს მოწინააღმდეგეზედ. ბ-ნი „კრიტიკოსი" სწერს: „ავტორები მიდიან რა აბდაუბდას, წერილის ბოლოს დასძენენ—ჩვენ აღძრულ საკითხს სერიოზულად ვეკიდებით,—მე ლომ საქმე როდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ დავანახვო საზოგადოებას და კერძოდ მუშებს, თუ რამდენად მართალი სერიოზული და სასარგებლოა მათ მიერ ნაჩვენები გზა მუშებისათვის; მარა უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორები ებღაუჭებიან კორექტურულ შეცდომას, რომელიც შეეხებოდა წლების დასახელებასაო" და სხვა.

ბ-ნი დეპო თავის პირველ წერილში („წყარო" № 15) სწერდა: რკ. გზ. კავშირი 1903 წლებიდან არსებობდაო; ჩვენ განვმარტეთ, რომ კავშირმა 1905 წლის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყო მოქმედებაო. ბ-ნ დეპოს უნდოდა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის და „კერძოდ მუშებისთვის", რა საკვირველია, რომ თუმცა კავშირმა 1903 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ 15 000-ზე მეტი რკ. გზ. პოლიტიკაში ვერ შეაკავშირაო, ხოლო როდესაც ეს „წლების დასახელება" ტყუილი გამოდგა, ამ-ნ დეპომ თავისი შეცდომა კორექტორს დააბრალა. რატომ თქვენი კორექტურული შეცდომა რედაქციას არ გაასწორებინეთ, თუ კი ეგრე დაინტერესებული იყავით სიმართლის აღდგენაში? ნუ თუ ჩვენ უფლება არა გვქონდა, თქვენი შეცდომა გაგვესწორებინა? მით უმეტეს, ამ „შეცდომებისათვის" ამდენს იბრძვით და კიდეც ილანძღებით? შემდეგ ამისა წერილის ავტორი სწერს: „ურმე ნუ იტყვით, წევრთა რაოდენობის სისწორით აღნიშვნა პრინციპიალური ყოფილა, კორექტურული შეცდომა კი დიდი ცოდვაო"-ო. მერე ბ-ნი დეპო გვიჩვევს წავიკითხოთ ჩვენი წერილი, რომელიც ამტკიცებს ვითომ მის, დეპოს მიერ, თქმულ წევრთა რაოდენობას. ჩვენს წერილში („ისარის" № 29) ვწერთ: „კავშირის ორგანიზაციის დარბევის შემდეგ 1905 წელს კავშირმა რამდენიმე თვის განმავლობაში შესძლო აღედგინა შეწყვეტილი კავშირები და ხელი მიჰყო მწყობრ ორგანიზაციის მოწყობას; ასეთ მუშაობის დასაწყისში, 1906 წლის ბოლოში გამოირკვა, რომ კავშირში ითვლება 15,000-ზე მეტი **აქტიური** წევრი და თანაუგრძნობს დიდ ძალი ხალხი*). ბ-ნი დეპო კი ამ ამონაწერს ვერ არჩევს და გაიძახის „მომხსენებლის მიერ მოყვანილ სიტყვებს ვაწვდიდი საზოგადოებასაო"; ზედ ჩვენც გვიმოწმებს: „აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი—სწერს ბ-ნი დეპო „ისრის" წინანდელ წერილში ბ. ნიკიფორე სწერდა, რომ მთელ რუსეთის რკ. გზ. 600,000 მოსამსახურე და მუშა ითვლება, ეხლა კი გაიძახის მთელ. რუს. რკ. გზ. 600,000 მუშაო" არ. როდესაც მე ხსენებულ რიცხვს ვამბობდი, მხედველობაში მყავანდნენ როგორც მუშები, ისე მოსამსახურენი და სიტყვა სიტყვით არ გავიმეორეთ ის, რაც წინა წერილში მოვიხსენიეთ. თქვენც კარგად იცით რომ ეგრე იყო, ბ-ნო დეპო, მაგრამ თქვენი ჟინის დასაკმაყოფილებლად ტყუილად მთავარს ედებით. რა ვიცოდით, თუ მეტი გაგების უნარი არა გქონდათ და ამისთანა უბრალო რამეზედ სიტყვა-სიტყვით განმარტება დაგჭირდებოდათ?

ასე და ამ გვარად, აღმოაჩინა რა ბ-ნმა დეპომ ამერიკა, შემდეგ გადავიდა ადმინისტრატიულ პირების მიღებაზედ კავშირში. იგი სწერს: „მაშ ასე, ყოფილა ისეთი ჯგუფი, რომელსაც მე ვერ ვამჩნევ, სადაც ოთხ მუშაზედ სამი ადმინისტრატორი მოდის" „თქვენ, მაშასადამე, რიცხვი გაინტერესებს და არა ღირსებაო... ეს კლასთა ბრძოლის უარის ყოფააო" და სხვა. ბ-ნო „კრიტიკოსო", ეს რომ რკ. გზ. კავშირს ჰქონოდა (კლასთა ბრძოლის უარის ყოფა) მხედველობაში, მაშინ ხომ აღარ იქნებოდა მე-5 მუხლი გამოყოფილი მე-2 პარაგრაფიდან, რომელიც განმარტავს წევრთა მიღებას კავშირში. მაშინ მოხსენებული იქნებოდა მე-2 პარაგრაფში, რომ კავშირში მიიღება რკინის გზ. ყველა მოსამსახურე და მუშა, მაგრამ, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, მე-5 მუხლის ძალით კავშირში ისეთი პირი, რომელიც ასრულებს ადმინისტრატიულ როლს რკ. გზაზე, **უნდა მიღებულ იქმნას მხოლოდ რაიონულ კრების გადაწყვეტილებით.** ბ-ნი დეპო ამ უკანასკნელ განმარტებას ყურადღებას არ აქცევს და კრიმანჭულობს—„თქვენ მგლების და ცხვრების ერთ ფარეხში მოთავსება გსურთო". ჩვენ ვწერდით: ბრიგადირებისა და სხვებისთვის არა ერთხელ ყოფილა ჩინების მიცემაზედ ლაპარაკი მაღალ წრეებში." „მწერლებო,—ისტერიულად გაჰკივის დეპო—სად არის თქვენი ლოღიკაო." წინა წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ ახლანდელ უკუღმართ პირობებში თითო პატარა ჯგუფზედ თითო ადმინისტრატორი მოდის. არის ისეთი ადგილებიც, სადაც ორ-სამ კაცზედ თითო ადმინისტრატორია დანიშნული. ავიღოთ თუ გინდათ უბრალო ჩაქუჩის დამრტყმელი (молотобоецъ) რომელიც სცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა მჭედელი გახდეს. მიიღებს თუ არა მჭედლის „დიპლომს," ის უკვე ბრძანებელია რამდენისამე პირისა და უფლება აქვს, თანამედროვე პირობების თანახმად, დაიმორჩილოს თავისი „ხელქვეითები". ესევე ითქმის უფროს მუშაზედ (старшій рабочій), რომელსაც რამდენიმე ათიკაცი აბარია თავის ზედამხედველობის ქვეშ, თუმცა ისინი „ადმინისტრატორები" არიან მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობა დიდად არაფრით განსხვავდება ურთი-ერთისაგან. ესევე ითქმის სხვებზედაც, მაგალითად, ზეინკალი სცდილობს რაც შეიძლება ბრიგადირის თანაშემწე გახდეს, ეს უკანასკნელი კიდევ ბრიგადირი, ხოლო ბრიგადირი „მანტიორი" და სხვა. ამას ვუწოდებდით ჩვენ „ჩინების" მიცემას, ბატონი დეპო კი გაიძახის: „ამის თქმის შემდეგ თქვენ კიდევ შეგწევთ გამბედაობა, მუშებს ურჩიოთ ასეთ კავშირში შესვლაო! (ალბათ ბატონ—კრიტიკოსს „ოხრანი ოტდელენიეს" წევრები ჰყავს მხედველობაში). ამ („ჩინიანების") შესახებ ნათლად გავმარტეთ, თუ რა პირობებში და როგორ შეიძლება მათი მიღება კავშირში, რის გამეორებასაც ჩვენ არ შევუდგებით.

შემდეგ ჩვენი მოწინააღმდეგე ეხება ფაბრიკისა და რკ. გზის ადმინისტრაციას და განაგრძნობს „ფაბრიკის ადმინისტრაცია იცავს ხაზეინის ინტერესებს და, მაშასადამე, ორივე მუშების მტერიაო!!" (დახეთ—დახეთ, რა აღმოაჩინა ბ-ნმა დეპომ). მაგრამ შეიძლება ზოგიერთებს ეგონოს ადმინისტრაციას ეკონომიური ტერორით მოაჰკვიანებს და სხვა. დიახ, ეს ასეა, ბ-ნო დეპო. ჩვენ ამაში საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, რაც ჩვენ წინა წერილში უკვე მოვახსენეთ, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ თქვენ ჩვენ დასმულ კითხვაზედ პასუხი ვერ მოგვცით და ჩვენ მიერ ნათქვამ სიტყვებს თუთიყუშივით იმეორებთ.

დასასრულ ბ-ნი „კრიტიკოსი" დიდის რიხით გვემუქრება: „მისი მოწინააღმდეგე (რკ. გზ. კავშირისა) ვიყავი და შემდეგშიაც ვიქნები, რადგან მე მუშათა საქმე მაინტერესებსო". ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბ-ნო დეპო, განაგრძეთ თქვენ მიერ დაწყებული ბრძოლა თქვენ მოძმეებთან ერთად და მაშინ იქნება მიაღწიოთ მიზანს. მარა საქმე იმაშია, ბ-ნო მოწინააღმდეგევ, რომ, მიუხედავად თქვენის „დიად მოღვაწეობისა" და აგრეთვე სასტიკ რეაქციისა, რომელიც უმთავრესად რკ. გზ. კავშირს დაატყდა თავს, იგი მაინც სისწრაფით მიექანება წინ და იკრებს გარშემო მუშათა მასას, რასაც ამტკიცებს უკანასკნელ პერიოდულ ორგანოს ანგარიში (№ 4, 1908 წ.)

**ნიკიფორე.**

*) რადგან იმ დროს, როდესაც რეაქცია იყო გამეფებული მთელ რუსეთში და კერძოდ რკინ. გზაზედ, ორგანიზაციებიც თითქმის ნახევრად დანგრეული იყო, ამისათვის კავშირის კრებას არ შეეძლო დაწვრილებით წევრთა რაოდენობის აღნიშვნა. მხედველობაში იღებს მხოლოდ ისეთ პირებს, რომელნიც რაიმე ფუნქციას ასრულებდნენ

---

ვუწოდებთ, მუხლისაკენ ცოტა ვითომ რომ წამოკოჩრილა და მთელს სახეზე სიწმინდისა, სიმართივისა, უმანკოების შუქი უცხოდ გაბნეული,—ყველა ეს აბა როგორ არ გაგიტაცებთ, როგორ არ დაიხრებით მის წინაშე და არ ემბორებით მის ნაზ ლაწვებს, რომ თქვენც იყნოსოთ გაზ ფხულის ოცნებად წამლები სურნელება!

მაგრამ აი გამოღვიძა!

ჩემმა ჩრდილმა თუ შეურყია ტკბილი ძილი. ან ინსტიქტიურად იგრძნო ახლობელის მოახლოება.

ცოტაზე აჰ ქყინდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც კარგა გამარჩია, სანეტარო ღიმილით ხელზე გადმომყვა.

რა მშვენიერებაა!

ნამდვილი თუნიაა!

ვხარხარებ.

მუხლებზე დავიყენე.

არა, კარგად დგას, მაგრამ ფეხები მაინც ცოტა მრუდე უნდა ჰქონდეს.

ეს ექიმმაც შენიშნა.

— დედაკაცო, აბა მოდი გავსინჯოთ!

არაფერიც არ არის. ცოლმა გამიბნია ეჭვები. ორივე შვილის ალერსმა გადაგვიყოლია.

— ეგერ შეხედე!—მიმითითა ცოლმა.

ბავშვის შიშველი ფეხი ხელში დაეჭირა. ფეხის გულზე ხელი მიაფარებინა და ჩარაზმული თითების თავს მიჩვენებდა.

— მარგალიტები არ არის?

ძალიან ჰგავდა. ჩამწკრივებულები, მონიგრულად თეთრი, ზოგან ცოტა წითლად აჭრელებული.

— მარგალიტებია,—დაუკა ტვერი მეც, ნეტარებით გადირებულმა.

მეგობარი კი ამტკიცებს, შვილის სიყვარული არ არსებობსო.

„გიჟია ოხერი!"

### XI

არა, სულ ერთიან გამიტაცა შვილმა.

არ მინდა მოვშორდე.

და დედა მისს ხშირად ვეცილები კიდეც.

მე მინდა ხელში მყავდეს, მინდა ჩემს მკერდზე მივაძინო, მევე მინდა ეტლში დასაძინებლად ჩავაწვინო.

მერე სიმღერებიც, როგორი შევურჩიე!

მომღერალი არა ვარ, მაგრამ შვილმა ამამღერა.

მკერდს მიკრული მყავს ბავშვი, ნელა ვარწევ და დაბალის ხმით დავღიღინებ.

შვილს თავისი პაწია მკლავი ყელზე აქვს მოღებული, თან მკერდში ეგრე ნდობით ჩამკვრია.

ეს ახალი ადამიანი.

თანდათან ძილი იპყრობს და მეც სიფრთხილით საწოლზე მიმყავს.

ჩემთვის ნეტარებაა შვილთან ყოფნა, მასთან ფათური.

წარმოდგენილი მაქვს, როგორი უნდა იყოს დედისათვის!

როგორ შეიძლება! ვინა სთქვა, დედა და შვილი ოდესმე გაიყრებიანო.

დედასავით, თუნდა ჩემსავითაც, როგორ მოუვლის სხვა ვინმე ბავშვს?

მერე ისიც მიჩენილი კაცი, რაც უნდა მეცნიერებითა და ღრმა კაცთ-მოყვარეობით იყოს აღჭურვილი.

საიდან მოიტანს ის ჩვენებრ გულის სითბოს?

თითონ რომ ვერ განიცდის მასით სიხარულსა, იქით როგორ გადასცემს გრძნობის სინაზეს?

ჯერ ჩვენ დროშიაც ნახეთ მშობიარეთა თავ-შესაფარში მომვლელი ქალები როგორ ექცევიან ახლად დაბადებულთა:

გაიდებენ მკლავზე რამოდენსამე ბავშვს, თითქო შეშის ჯირკვები იყოს, და ისე მიჰყავთ დასაბანად.

არა, საკუთრების გრძნობა ეშველებელი ფაქტორია.

ყოველ „ყავს თავის ბარბალა მოსწონსო" და ამაშია კიდეც ძაღლის თავი.

„დრომდის... დრომდისო"—გაიძახის ჩემი მეგობარი.

— იმ დრომდის მაინც მეგვიშვან დედებიო,—მითხრა როგორღაც ერთხელ ჩემმა ცოლმა.

მაგრამ აბა მაგას რას დაგიდევთ.

ქეთუნიას დამიხედეთ, ქეთუნიას!

როგორ დღითი-დღე იზრდება.

ამ დღეებში დედას კალთაში უჯდა და მე ბურთის თამაში დავიწყე.

იცით, როგორი სიცილი მიართო?

კარგა მოჩიტულ ბავშვს შეეფერებოდა.

შეგნებულად, საზრისიანად ხარხარებდა.

ო, რა მშვენიერი იყო ეს სიცილი! რა წრფელი, რა უმანკო!

დარვინი ამბობს: შემიმჩნევია, რომ ბავშსაც, როგორც დიდს, მოულოდნელი რამ მოვლენა აცინებსო.

მართალსა ჰგავს. მეორეჯერაც რომ დავუწყე ბურთს თამაში, ქეთუნიას იმდენი ყურადღება არ მიუქცევია. შეეჩვია.

სხვა, ახალ შთაბეჭდილებისაკენ იწიკებოდა.

და თითქო „მამე"-ო, გაიძახოდა.

კარგა ხანია, რაც „ბ...უ...ბა", „მ...ა...მ.. "-ს გაიძახის.

ნუ თუ ყველა ბავშვი ამით იწყებს?

ტენს „მამა" აქვს შემჩნეული, დარვინს „მუმ"—საჭმელს დაარქვესო.

ჩემი ბავშვი „მამე"-ს გამოიტყვის და მეც, როგორც ქართველს, მეცინება, რომ ჩემი შვილის პირველი ბგერა ერთ ქართულ სიტყვას ეგრე შეუთანხმდა.

მამე, მამეო!—დავცინით ეხლა შვილსა და ორივე ცოლ-ქმარი მორიგეობით ვკოცნით პაწიასა. **შალვა დადიანი**

(შემდეგი იქნება)

## სასამართლო

**ყვირილის ხაზინიდან 201,639 მანეთის გატაცება.**

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ყვირილის ხაზინიდან ფული გაიტაცეს 1905 წელს 30 დეკემბერს. ამ საქმის განხილვას კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო უნდა შესდგომოდა გუშინ. სამართალში მიცემულია სულ 28 კაცი: თავ. ანდრია აბაშიძე, ალექსანდრე აბაშიძე, არსენ ქარსიძე, კირილე შენგელია, სიმონ და პლატონ ძღენტები, ალექსანდრე სტეფანოვი, ალექსი ანთაძე, ფილიპე წერეთელი, ლაზარე გაჩეჩილაძე, პავლე საყვარელიძე, ამბაკო სამანაშვილი, დავით ციკრაძე, იაკინთე კობახიძე, ვასილ და პავლე კიკნაძენი, დიანოზ და მარკოზ ცერცვაძენი, მოსე ბაიდლერი, ვლადიმერ ტატიშვილი, ლავრენტი გძელიშვილი, სტეფანე იარჩენკო, ანისიმე არევაძე, დავით სულიაშვილი, მიხეილ პოლეოლზინი, მიხეილ მაჭუტაძე, გიორგი ხომერიკი და ვასილ შევიძე.

ამათ ჰბრალდებათ 1905 წელს შორაპნის მაზრაში ისეთ საზოგადოების შედგენა, რომელსაც აზრადა ჰქონდა შეიარაღებულ აჯანყებით არსებულ წესწყობილების დამხობა. ამ საქმის განსახორციელებლად ჩაიდინეს შემდეგი საქმეები:

1. შენგელია, თავ. აბაშიძე, ძღენტი, ალექსანდრე აბაშიძე, სტეფანოვი, წერეთელი, გაჩეჩილაძე და საყვარელიძე დაეცნენ ყვირილაში სტრაჟნიკების სადგომს, იარაღი აჰყარეს სტრაჟნიკებს და წაიღეს 66 თოფი და 2000 მეე პატრონა. დაეცნენ საპოლიციო გამგეობას და წაიღეს იარაღი. დაეცნენ სატუსაღოს და გაანთავისუფლეს ოთხი პატიმარი.

2. ციკრაძე, ანთაძე, სამანაშვილი, კობახიძე, ცერცვაძე, ბაიდლერი და ქორიძე 1905 წლის 30 დეკემბერს სხვებთან ერთად თავს დაეცნენ ყვირილის სადგურზე ტენგინის პოლკის მე-12 როტას, ასტეხეს სროლა და როდესაც როტას პატრონები გამოელია, შევარდნენ როტის სადგომში და გაიტაცეს 57 თოფი. სროლის დროს დაიჭრა 6 სალდათი, ერთი სასიკვდილოდ. ამავე დღეს ქარსიძემ ადგილობრივ ხაზინადარს მისწერა, მისულიყო და ხაზინის ფული ჩაებარებინა. ბარათის ქვეშ ეწერა: „წითელ რაზმის წინამძღოლი არსენ ქარსიძე", როდესაც ხაზინადარი სამბიკინი მოხელეებთან ერთად მივიდა, იქ დახვდა 15 შეიარაღებული კაცი. სტეფანოვმა განუცხადა ხაზინადარს: „თუ ნება-ყოფლობით არ მოგვცემთ ფულს, ძალით წავიღებთო". საკუჭნაოს კარები გააღეს. სტეფანოვმა, ტელეგრაფისტმა ნოე ჩხეიძემ (ამ ჟამად დამალულია) და სხვებმა გადითვალეს 201,639 მ. 56 კ., ამასთან ხაზინის დავთარში ჩაიწერეს: „201,639 მ. 56 კ. ნაღდ ფულად—კრედ. ქაღალდებით, ოქროთი, ვერცხლით და სპილენძის ფულით—მივიღე 1905 წელს 30 დეკემბერს სამხედრო-სარევოლიუციო შტაბის მონდობილებით ანდრონიკ ნიხომ". წაღებულ ფულს ერთ ხანად სადგურის კასსაში ინახავდა პოდკოლზინი. 1906 წელს 8 იანვარს ორ თქლმავალით ფული ქუთაისში წაიღეს პოდკოლზინმა, ჩხეიძემ და ცინცაძემ (ეს უკანასკნელი დამალულია).

3 ვას. კიკნაძემ, პავლე კიკნაძემ, სულიაშვილმა, არევაძემ და სხვებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ტენგინის პოლკის მე 11 როტას, რომელიც მე-12 როტის საშველად მიდიოდა. სროლის დროს სასიკვდილოდ დასჭრეს შტაბს-კაპიტანი დავიდოვი, მოჰკლეს სალდათი მილი და დასჭრეს სამი სხვა სალდათი.

4. მაჭუტაძეს ჰბრალდება 2 იანვარს 1906 წელს წიფაში თავდასხმა ყაზახებზე სროლის დროს მოჰკლეს სამი ყაზახი და დასჭრეს ორი.

5. სალდათს ბაიდლერს ჰბრალდება ფოსტიდან გაქცევა და სახელმწიფო თოფის დაკარგვა.

**საქმე გაფიცვის შესახებ ბაქოში.** ტფ. სასამართლო პალატის სესიამ 21 თებერვალს დაამთავრა ბაქოში საქმე ბაქოსა და ბალახანის სადგურებზე 1905 წელს მომხდარ გაფიცვის შესახებ. პალატამ გადაწყვიტა: სოლომონ ყაზბეგს, სტრაზვადოვსკის, ლ. საროგეს, თ. ბაკლანოვს, მ. ვარდაიანცს, ი. ბუტირინს, გიორგი ბერიძეს, თ ხაპილინს, ალ. კოლესნიკოვს, გორნინს და ა. ვიშინსკის თითო წლით ციხეში დაპატიმრება. დანარჩენნი ბრალდებულნი—ა. ტროფიმოვი, გ როოტი, ე. პანუროვი, ნ. არხიპოვი, მ. კვიატკოვსკი, ირაკლი მამულაიშვილი, ვ. ოკულიჩი, პ, ფატეევი, მიხეილ კალანდაძე, ი. დემჩენკო და რიზა ელდაროვი პალატამ გაამართლა.

## რუსეთი

✦ **დეკან. ვოსტორგოვი.** 10 თებერვალს მოსკოვში მონარქიულმა პარტიამ კრება მოახდინა თავმჯდომარის ასარჩევად გარდაცვალებულ გრინგმუტის ნაცვლად. კრებამ დეკანოზი ვოსტორგოვი აირჩია თავმჯდომარედ.

✦ **განათლების წყურვილი სოფლებში და უფროსების მოქმედება.** თუ რამდენად ძლიერია სურვილი განათლებისა სოფლის ხალხში, ეს თვალნათლად სჩანს შემდეგიდან: „ვოლჟსკოე სლოვო" იუწყება (სამარაში გამოდის), ადგილობრივი წიგნის მაღაზიები ვერ აკმაყოფილებენ სოფლის ხალხის ყველა მოთხოვნილებას. პეტერბურგელი წიგნის ვაჭრები აღნიშნავენ, რომ სოფელში ეხლა დიდი მოთხოვნილებაა იაფ-სამოსწავლო წიგნებისაო. პსკოვისა და ნოვგოროდის გუბერნიების მიყრუებულ ადგილებიდან თხოულობენ იაფ პოპულიარულ წიგნებს: გეოგრაფიულს, ისტორიულს, მიწაზე და სხვა. პეტერბურგელი მსხვილი წიგნის გამომცემელნი ამბობენ, მოთხოვნილება იაფ სამოსწავლო წიგნისა ეხლა იმდენად ძლიერია, რომ არ შეუძლიან მისი დაკმაყოფილება, და არც თუ არის რუსულ ენაზე შესაფერისი გამოცემანიო. ერთი სტამბა ეხლა მხოლოდ იმას უნდება, რომ სულ განუწყვეტლივ ჰბეჭდავს რაღაცა პატარა გეოგრაფიულ წიგნაკს და კიდე ვერ ასდის ამ საქმესაო.

მაგრამ ასეთ სასურველ მოვლენას, დახმარებისა და შველის მაგივრად, ბევრი დაბრკოლება უხვდება წინა. ყველა ბნელი ძალა ამხედრდა და ყოველნაირად ცდილობს სახალხო განმანათლებელ დაწესებულებებს წინ გადაეღობოს. აი მაგალითები:

პერმის გუბ. პრიტიკინის საზოგადოებაში ახალგაზრდობამ ბიბლიოთეკის დაარსება მოინდომა; სოფელმა მისცა ამისათვის ფული, განაჩენი დაადგინა, წარადგინა სადაც ჯერ არს შესაფერისი წესდება და ელის ნებართვას, მესამე წელიწადი დაიწყო და ამ ნებართვას მაინც ვერ ეღირსა: განაჩენი შესდგა 1905 წლ. დეკემბერში.

არხანგელსკის გუბ. სოფ. კობაჩევში გლეხები უფრო ბედნიერები აღმოჩნდნენ: ბიბლიოთეკის დაარსების ნებართვა სწორედ 2 წლის შემდეგ მიიღეს.

მაგრამ დაარსებულ ბიბლიოთეკებსაც ბევრს დაბრკოლებას უჩენენ. სამარის გუბ. სოფ. მელეკესში ჩივიან, რომ იქაურ ბიბლიოთეკას არ შეუძლიან წესიერად მოქმედება, რადგან მის სადგომს ხან ახალ ჯარის კაცების მოსაწვევად ხმარობენ, იქ ხან საეროზო უფროსების კრებებს ახდენენ, ხან საჯარო ვაჭრობასა ჰნიშნავენ და თვით კლოუნების წარმოდგენებსაც ჰმართავენ უფროსები.

სიმბირსკის გუბ. სოფ. ნოვოდევიჩიეში ბიბლიოთეკა ძლიერ მოსწონდა და უყვარდა ხალხსა: ყოველთვის გაჭედილი იყო ხალხით, ძლივს ასწრობდნენ წიგნების მიცემას, გაზეთები ხომ არ ჰყოფნიდა მკითხველებს. მაგრამ 1907 წელს ბიბლიოთეკა გაჩხრიკეს და 200-ზე მეტი წიგნი დაატუსაღეს, თუმცა ყველა წიგნი ნება დართული იყო საზოგადო ცენზურისაგან. მასწავლებელი—სული და გული ამ საქ-

მისა—იძულებული იყო თავისი ადგილი მიეტოვებინა და ამ სოფლიდან წასულიყო. დახარულ ბიბლიოთეკის სადგომიც დაიწვა.

არხანგელ. გუბ. ქალ. შენკურსკის ბიბლიოთეკაში წიგნების მიცემის დროს მუდამ ჟანდარმი ზის და .. გაზეთს ჰკითხულობს. გროდნოს გუბერნიაში განსაკუთრებულ მონდობილებათა მოხელემ რევიზია უყო სახალხო ბიბლიოთეკებს და განაცხადა; რომ დიდის ხნიდან ნება დართული წიგნები დოსტოევსკისა, ტოლსტოისა და კოროლენკოსიც კი არ უნდა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი მოელით ბიბლიოთეკრებსაო.

რადა გასაკვირველია, რომ მიყრუებულ ადგილებში ხალხი რაღაცა საშინელ საფთხუნად სთვლის წიგნსა. «სევერი» იუწყება: გრიაზოვ. მაზრის სემიონოვის საზოგადოებაში ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში 30-ოდე წიგნი იყო გადარჩენილი, გულ-უწყინარი წიგნები: წვრილი მოთხრობები გორკისა, ჩირიკოვისა, ანდრეევისა, კოროლენკოსი და სხვა ამნაირი. ყველა ამ წიგნს ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს...

**ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეი.** ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის დღესასწაულის გადასახდელად კომიტეტი დაარსეს პეტერბურგში. 19 თებერვალს კომიტეტმა შეიმუშავა პროექტი მოწოდებისა, რომლითაც უნდა მიჰმართონ მთელ რუსეთს. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს პრესის დროებით პრესის ბიუროს (კომიტეტთანაა დაარსებული) წევრებმაც. პრესის ბიუროს თავმჯდომარემ აცნობა კომიტეტს, 20 თებერვალს მოწვეულ იქნება კრება ყველა სატახტო გაზეთების წარმომადგენელთა და აგრეთვე იმ პროვინციალურ გაზეთების წარმომადგენლებისა, რომლებიც პეტერბურგში იმყოფებიანო.

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** 24 თებერვალს გადახდილ იქმნა ბენეფისი დირიჟორის იგ. მ. ფალიაშვილისა. ამ ბენეფისს მართლა რომ დღესასწაულური ელფერი ჰქონდა. მშვენიერი და სერიოზული პროგრამმა საღამოსი და საერთო თანაგრძნობა რომელიც დაიმსახურა ბ-მა ფალიაშვილმა თავისი მუყაითის შრომით და ნიჭით, თავმდები იყო, რომ თეატრში საზოგადოება ბლომად მოიყრიდა თავს. ასეც მოხდა. თეატრის დარბაზი მთლად სავსე იყო და ბევრიც, ფეხზედ იდგა. გამოჩნდა მობენეფისე თუ არა, იგრიალა საერთო ტაშმა და ვაშას ძახილმა, ამას თან მიჰყვა ორკესტრის „ტუში“. რამდენიმე წამის განმავლობაში ხმაურობა არ შეწყვეტილა, თუმცა ბ-ნმა ფალიაშვილმა არა ერთხელ მოისურვა სადირიჟორო სავარძლის დაკავება. ორკესტრმა გვირგვინი მიართვა თავის ხელმძღვანელს.

დაიწყო დიდებულ ვაგნერის საოცნებო შვერტიური „ტანგეიზერი“-სა და ხალხმა სული განაბა,—იმ ხალხმა, რომელიც მაგრე რიგად როდია ჩვეული მუსიკალურობასა და დუმილს. მაგრამ ამ ჟამად იგი თითქოს გრძნობდა, რომ მის წინ აღმართულია ხელთ უქმნელი სამსხვერპლო, რომელზედაც ქურუმნი ხელოვნებისა სწირავენ დიად მსხვერპლს გენიოსობისას.

ეს მეტად რთული, სიმფონიური მუსიკა საჭიროებს დიდ და ძლიერს ორკესტრს. საზაფხულო თეატრის ორკესტრი კი შედარებით მცირე რიცხოვანია, მაგრამ მან, ბ-ნ ფალიაშვილის მეთაურობით მაინც დასძლია იგი და მუსიკალური სურათები ხატოვნად წარმოადგინა ვაგნერის ზეშთაგონებისა. მონაყვებულის მიბნედულის ხმოვანებით დაწყებული იგი, ვით ახლად წარმოშობილი აზრი, თან და თან გაიზარდა, გადიდდა, გაბუმბერაზდა და მშვენიერ სურათად გადაიქცა. ყურს უგდებდი და მეგონა რომ გრძნობა-გონების თვალ წინ ჰქონდა გრძნეული წუთები მიხატავდა ხელოვნების დაბადების და განვითარების იდეას,—ან პოეზით აღსავსე ლეგენდას, თუ როგორ გაჩნდა ქვეყანაზედ მშვენიერება.

დიდის ტაშით და ხანგრძლივის ვაშას ძახილით დააჯილდოვა საზოგადოებამ ბ ნი ფალიაშვილი უვერტიურის მარჯვე აღსრულებისათვის. შემდეგ წარმოდგენილი იყო მეორე მოქმედება „ტანგეიზერი“-სა, ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტა“ და სეროვის „როგნედა“-ს უკანასკნელი მოქმედება; ამ უკანასკნელში მონაწილეობა მიიღეს ქველმოქმედებაში ქალმა და კაცმა, რომელთაც, ბ ნ ფალიაშვილის პატივსაცემლად, არ დაიზარეს და ხორთან ერთად მღეროდნენ.

„იოლანტა“-ს შემდეგ ფარდა აიხადა და გამოჩნდა მობენეფისე, რომელსაც მთელი დასი გარს ეხვია და ტაშის კვრით და ვაშას ძახილით ულოცავდა დღესასწაულს. საზოგადოება მხურვალედ შეუერთდა ამ სადღესასწაულო მილოცვას ბ-ნმა ფალიაშვილმა მიიღო გვირგვინები და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან იშვიათია სადმე ასეთი თანაგრძნობა და სიყვარული, როგორც ამხანაგებისა ისე საზოგადოებისა, განსაკუთრებით კი არტისტთა წრეში, სადაც ინტრიგასა და შურს თითქმის ვერავინ ვერ ასცდება ი.

# უცხოეთი

**ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია ჰულში.** ინგლისის მუშათა პარტია—ახალი ორგანიზაციაა, მეცხრე წელიწადია, რაც არსებობს. ბელგიის მუშათა პარტიის მსგავსად, იგი შესდგა უკვე არსებულ ორგანიზაციების შეერთებით.

პარტიის უკანასკნელ, მერვე კონფერენციაში, რომელმაც სამს დღეს გასტანა, მონაწილეობას იღებდა 420 დელეგატი, წარმომადგენელი 1,049,673 ტრედ-უნიონისტისა, და 23 დელეგატი დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა და ფაბიუსის საზოგადოებისა. სოციალ-დემოკრატიული პარტია არ მიემხრო მუშათა პარტიას, რომელიც კლასთა ბრძოლის პრინციპს არ აღიარებს. სამს დღეს კონფერენციამ განიხილა და რეზოლიუცია გამოიტანა ბევრს საკითხზე, მაგრამ უმთავრესი მისი რეზოლიუცია იყო „საბოლოო მიზანზე“. არსებითად, ამ რეზოლიუციის მიღება არა ჰნიშნავს დიდს ცვლილებას პარტიის პოლიტიკურ მოქმედებაში, მაგრამ მაინც ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „შპალერის დამმზადებელ მუშათა კავშირის (200 წევრი) დელეგატმა სოციალ-დემოკრატმა ატკინსონმა წინადადება მისცა კონფერენციას, მიეღოთ რეზოლიუცია საბოლოო მიზანზე იმ პირობით, რომ იგი სავალდებულო იყოს უმცირესობისათვისაც. ეს ჰნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ იმ ტრედ-უნიონებს, რომლებიც თავიანთ საბოლოო მიზნად სოციალიზმს აღიარებენ, შეუძლიანთ მუშათა პარტიაში შესვლა, რომ მხოლოდ ტრედ-უნიონების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აღიარებენ სოციალისტურ პრინციპებს, შეუძლიანთ იყვნენ პარტიის წარმომადგენლებად პარლამენტში. ასეთის სავალდებულო რეზოლიუციის მიღება დაუყოვნებლივ განხეთქილებას გამოიწვევდა პარტიაში. მოკლე, მაგრამ შფოთიანის კამათის შემდეგ ატკინსონის წინადადება უარყოფილ იქნა 951,000 ხმით წინააღმდეგ 91,000 ეს იყო სამშაბათს. ოთხშაბათს ამნაირივე რეზოლიუცია წარუდგინეს „ლითონის მუშათა შეერთებულ კავშირსი“ სახელით. ეს მძლავრი კავშირია, 87,000 წევრი ჰყავს. კავშირის დელეგატმა განმარტა, რომ რეზოლიუცია სავალდებულო არ იქნებაო; უმცირესობას, რომელიც არ დაეთანხმება რეზოლიუციას, არავითარ მოვალეობას არ აკისრებსო კენჭის ყრა ამ საქმეზე მხოლოდ დემონსტრაცია იქნება პარტიაში სოციალიზმის განვითარების საჩვენებლადაო. მოკლე კამათის შემდეგ რეზოლიუცია მიიღეს 514,000 ხმით წინააღმდეგ 469,000. იგი შემდეგის შინაარსისაა:

„კონფერენციის აზრით, დადგა დრო, როცა მუშათა პარტიამ თავის განსაზღვრულ მიზნად უნდა დაისახოს: სოციალიზაცია საშუალებათა წარმოებისა, განაწილებისა და აღებ-მიცემობისა, რომელთაც კონტროლს უწევს დემოკრატიული სახელმწიფო მთელის ქვეყნის სასარგებლოდ; სრული განთავისუფლება შრომისა კაპიტალიზმისა და ლენდლორდიზმის ბატონობისაგან და აგრეთვე სქესთა სოციალურისა და ეკონომიურის თანასწორობის დაწესება.“

1905 წელს ამის მსგავსი რეზოლიუცია მიღებული იყო თითქმის ერთ ხმად, მაგრამ პრესას მაშინ ხმაც არ ამოუღია ამაზე. ეხლა კი, როდესაც რეზოლიუცია წარდგენილი იყო ერთ-ერთ უდიდეს კავშირისაგან და არა მცირე 200 წევრიანისაგან, როგორც წინად,—ბურჟუაზიულმა პრესამ სერიოზული ყურადღება მიაქცია მიღებულ რეზოლიუციას და განგაში დასცა.

საბოლოო მიზანზე რეზოლიუციის გარდა კონფერენციას წარუდგინეს რეზოლიუცია, რომელიც პარლამენტარულ პროგრამის შემუშავებას ითხოვდა. როგორც წინანდელ კონფერენციებზე, ისე ეხლაც რეზოლიუცია უარყოფილ იქმნა იმავ საბუთით, რომლითაც უარყოფილ იქმნა სავალდებულო რეზოლიუცია საბოლოო მიზანზე.

ჰფიქრობენ, რომ მალე მუშათა პარტიას შეუერთდება დიდ ძალი მადნის მუშა, რომელნიც დღემდე პარტიის გარეთ სდგანან, რადგან არ ეთანხმებიან პარტიის ძირითად პრინციპს: საპარლამენტო წარმომადგენლობის დამოუკიდებლობას. ამ ჟამად მადნის მუშების კავშირებში კენჭს ყრას ახდენენ პარტიასთან შეერთების თაობაზე. თუ კენჭის ყრა სასურველ შედეგს მოიტანს, მაშინ მუშათა პარტია შეიძენს რამდენსამე ასი ათასს ახალ წევრს, ხოლო იმის საპარლამენტო ფრაქციას მიემატება სულ მცირედ 20 წევრი, მადნის მუშათა წარმომადგენელი დეპუტატთა პალატაში.

კონფერენციამ მიიღო მრავალი რეზოლიუცია, მაგალ: მოხუცებულ მუშათა პენსიებზე, უმუშევართა შველის ორგანიზაციაზე, ლორდთა პალატის მოსპობაზე, ორსავ სქესისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე, სამუშაო ქირის მინიმუმზე, რკინის გზების ნაციონალიზაციაზე, დეპუტატთა ჯამაგირებზე, საერთაშორისო ზავზე და პარტიულ ყოველ დღიურ გამოცემაზე. ყველა ამ საკითხთაგან მხოლოდ პირველი ორი იქნება აღძრული მახლობელ საპარლამენტო სესიაში.

მუშათა პარტიას მშვენივრად ესმის, რომ ეხლა შეუძლებელია ლორდთა პალატის გაუქმება, რკინის გზების ნაციონალიზაცია და სხვა, ასე რომ ასეთ რეზოლიუციებს უფრო პროპაგანდის მნიშვნელობა აქვთ. არც თუ მუშები დაიწყებდნენ ეხლავე ბრძოლას ამათ შესასრულებლად, მუშებს ამოძრავებს მხოლოდ არსებითი საჭიროება. ეჭვი არაა მაინც, რომ დეპუტატების ჯამაგირის საკითხი მახლობელ წლებში მეტად გამწვავდება პალატაში. ამ ჟამად პარტიას ჰყავს 32 დეპუტატი, რომელთა შენახვა უჯდება 65,000 მანეთამდე წელიწადში; გარდა ამისა დიდ ძალი ფული ეხარჯება არჩევნებზე. მომავალ საყოველთაო არჩევნის შემდეგ, ზოგიერთების აზრით მუშათა პარტიის დეპუტატების რიცხვი ავა 100-მდე და თუ მადნის მუშები შეუერთდებიან, უფრო მეტამდე, და მაშინ პარტია იძულებული იქნება ფინანსიურის მოსაზრებით, მოითხოვოს დეპუტატებისათვის სახელმწიფოს ხიერ ჯამაგირების დანიშვნა.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე კონფერენციის დადგენილება ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემაზე. დღემდე ინგლისელ მუშებს არა აქვთ საკუთარი გაზეთ; ყოველ კვირეულ ჟურნალები-კი ვერას დროს ვერ გასწევენ გაზეთის მაგიერობას. პარტიამ აქამდე ვერ გაბედა გაზეთის გამოცემა, რადგან ინგლისში დიდი გაზეთის გამოსაცემად სულ მცირედ მილიონი მანეთია საჭირო.

**კანონპროექტი სამუშაო ქირის მინიმუმზე.** ინგლისის დეპუტატთა პალატამ განიხილა კანონპროექტი შესახებ განსაკუთრებულ სამრეწველო კამერების დაწესებისა სამუშაო ქირის სავალდებულო მინიმუმის გადასაკვეთად. ამნაირი დაწესებულება დღემდე შემოღებულია მხოლოდ ავსტრალიაში. ინგლისის კანონ-პროექტი უნდა ჩაითვალოს მეტად ფრთხილ ცდად. იგი შეეხება ჯერ-ჯერობით მარტო კონფექციონურ მრეწველობას, სადაც შინა მუშების ქირა, მეტადრე ქალებისა, მეტად მცირეა. კამერები უნდა შესდგნენ მრეწველთა და მუშათა თანასწორედ არჩეულ წარმომადგენელთაგან, რომელთაც თავმჯდომარედ დაენიშნებათ დამოუკიდებელი პირი. კამერას დანიშნულება იქნება მრეწველობის ყოველ დარგისათვის სამუშაო ქირის მინიმუმის გადაკვეთა ადგილობრივ პირობათა მიხედვით. გადაკვეთილ მინიმუმის დარღვევა დაისჯება ციხეში დატუსაღებით. ამ კანონპროექტს სასარგებლოდ მეტად ენერგიულ აგიტაციას ეწეოდნენ ბოლოს დროს. კამათში ნათლად დაამტკიცა, თუ რა ძლიერი აქვს შევნებული სოციალური პასუხისგება ინგლისის ყველა პარტიასა და წრეს. კანონპროექტი შეტანილი იყო დეპუტატების მიერ; შინაგან საქმეთა მინისტრი სალმით მიეგება მთავრობის სახელით; ყველა პარტიის წარმომადგენელმა, კონსერვატორმა—უნიონისტებმაც, ცოტას გარდა, იმდენადვე გულწრფელი და სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს კანონპროექტს, როგორც ლიბერალებმა და მუშებმა. პროექტი კენჭის უყრელად გადაეცა კომისიას.

# დეპეშა

23 თებერვალი.

**ურმია** 23 თებერვალს ფერმან ფერმამ გაგზავნა ექვსი მოლკოვნიკ ხუდოიარ-ხანის მეთაურობით სოუჯბულახიდან დარჩენილ ოსმალო ჯარისკაცების განსადევნად.

ქურთების მრავალმა ტომმა, ეგრეთვე მიდრისის ხანმა, 24 თებერვალს პირნიდება გამოუცხადეს ფერმან-ფერმას; არ გამოცხადებულა მხოლოდ ბაიაზიდ ხანი. („ზაკავ.“),

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო 459 ხმის უმეტესობით 64 წინააღმდეგ მეორედ მეხუთე კანონპროექტისა შემოსავლის და კვალად გადასახადის შესახებ.

რედაქტორი ვალ. გუნია.

გამომცემელი ე. ავალიშვილი.

# განცხადებანი


## მოწოდება

ამ სამის წლის წინად გარდაიცვალა ს. მცხეთას დედათა-მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ნინო. ეს პატიოსანი და დიდათ პატივცემული გვამი იყო შეუმჩნეველი მუშაკთაგანი ჩვენის პატარა სამშობლოსი. მას მიუძღვის მრავალი სიკეთე ქართველთ ქალთა აღზრდაში, არა ერთი და ორია მისგან აღზრდილი, არამედ მრავალი. არ არის კუთხე საქართველოსი, სადაც არ იყვნენ მონაზონ ნინოს აღზრდილნი. ამ მწირ მონაზონის საკანის კარი მუდამ ღია იყო ქვრივ და ობოლთათვის. თითონ სხვ ს მოწყალებით სცხოვრობდა და იმავე დროს თითონ მრავლისაგან მრავალს მოწყალებას უწევდა. მრავალნი არიან იმის პატარა სკოლაში აღზრდილნი მისის საწყალის ლუკმით. ამიტომ ამ წერილით მივმართავ იმის აღზრდილთ, ნაცნობთ და პატივცემულთ, რომ დღეს ამ პატივცემულ გვამის საფლავი სრულიად მივიწყებულია და ნაცვლად რიგიანის ქვისა მის საფლავს ამშვენებს ქვა და ლორდი. იმედია, ყველა მისი აღზრდილი არ დაიშურებს, შეძლებისა გვარად, თავის წვლილს, რითაც შეიძლება მას გაუკეთდეს რიგიანი საფლავი. ვთხოვთ ყველა შემომწირველს რაც ემეტება შიო ქუჩეკაშვილთან (წ. კ. საზოგადოების გამგეობაში) გაგზავნოს. როცა ფული შეგროვდება სია შემომწირველთა და დანახარჯისა ცალკე გამოცხადდება.

მარიამ ხვამთის ასული სიდამონ-ერისთავი.

(3—3)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ზ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზანანიძე:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეჟანიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუსხელოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ა. გამყრელიძე:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. გარაბეგიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ა. მერჩანოვა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ვ. ა. გურჯიევი:** 11—12 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(544—წლ.—37)

## სკოლა ჭრა-კერვისა

მიიღებიან მოსწავლე ქალები, აგრეთვე ყოველ გვარი სამუშაო ქალებისა და ბავშვების ტანისამოს მოსართავის დასამზადებლად. შეკვეთილ საქმეს სკოლა ასრულებს სწრაფად და კეთილ-სინიდისიერად მეტად დაკლებულ ფასად.

გოგოლ ს ქ., სახლი № 56. მ. მ. ძაძამიძისა.

(1—145—1)

## დაბა ჭიათურაში

იკითხეთ გამოცდილი ბებია ქალი მ. ი. მითაიშვილისა სახლი ს. აბესაძის. სადგურის ახლო (3—140—2)

ქუთაისში

კიწმარიშვილის თესლეულობის

## კანტორაში

იყიდება იონჯის, სამყურის, კოინდრის, ბულის, ცაცხვის ხის და ყოველგვარ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა; აგრეთვე საუკეთესო ჯიშის ნამყენი ხეხილების და კბილებიან ცაცხვის ხის ნერგები.

პრეისკურანტები ყველას უფასოდ.

(10—ფ.—4)


ბოსად აზოვში საიდუმლო პოლიციის მიერ მოსკოვსკის მცხოვრებს მარიამ ივანეს ასულს დანილენკოს, გაჩხრეკის დროს, ჩამოართვეს შემდეგი ნივთები, რომელიც ეჭვით ნაქურდალ ნივთებად იცნეს:

1. ვარდის ფერი ჩითის იუბკა 1 ც.; 2. მოქსოვილი ნავთის ფერი პატარა სუფრა—1 ც.; 3. ნავთის ფერი „პუშკოვის“ შალი—1 ც.; 4. ფარდაგი შალისა ბორდოს ფერი—$7^1/_4$ არშ.; 5. ბარაკანის მატერიის ნაჭერი—$8^1/_4$ არშ.: 6. აბრეშუმის ცის ფერი ბალიშის გადასაფარებლები—4 ც; 7. აბრეშუმის მატერიის ნაჭერი იასამნის ფერისა—$17^1/_2$ არშ.; 8. საბავშვო ხამთრის საბანი 1 ც.; 9. გარუსით შეკერილი აბრეშუმი კრემის ფერი 1 ც.; 10. მოქსოვილი ბამბის თეთრი სუფრა—1 ც.; 11. ახალი თეთრი ქალის პერანგები—4 ც.; 12. პირის-ფერ აბრეშუმის მატერიის ნაჭერი—$9^1/_2$ არშ.; 13. თეთრი გაზის შალი—1 ც.; 14. თეთრი აბრეშუმის შალი 1 ც.; 15. თეთრი აბრეშუმის შარფი—1 ც.; 16 სპარსული შარფი—1 ც; 17. აბრეშუმის გადასაფარებელი „პომპადური“ 1 ც.; 18. აბრეშუმის თეთრი ფოჩიანი შალი—1 ც.; 19. ყოლის აბრეშუმის ნაჭერი საპერანგე 1 ც.; 20. აბრეშუმის უჯრიანი შალი—1 ც.; 21. პირის ფერი აბრეშუმის ნაჭერი სარჩულისა—4 არშ.; 22. შავი გაზის შარფი—1 ც.; 23. ნაცრის ფერი აბრეშუმის შალი—1 ც.; 24. ნაცრის ფერი აბრეშუმის უჯრიანი შალი—1 ც.; 25. მოქსოვილი აბრეშუმის შალი, ცისფერი—5 ც; 26. მოქსოვილი აბრეშუმის შალი კრემის ფერი—5 ც.; 27. მოქსოვილი აბრეშუმის შალი თეთრი—3 ც.; 28. მოქსოვილი აბრეშუმის შალი პირის ფერი 5 ც.; 29. ცხვირსახოცები თეთრი აბრეშუმისა პირისფერ არშიით—2 ც.; 30. ცხვირს ხოცები ტილოსი ახლები—2 ც.; 31. სალფეტკები თეთრი—5 ც.; 32. პლუშის ქალის შალი—1 ც.; 33 შავი შალის მატერიის ორი ნაჭერი—13 არშ.; 34. თავის შარფი—1 ც.; 35 თეთრი პლუშის პირსახოცები—2 ც.; 36. ბალიშის გადასაფარებლები პლუშისა ბორდოს ფერი—3 ც.; 37. ლურჯი მაუდი აბრეშუმით ნაკერი გადასაფარებელი—1 ც.; 38. შავი მანჩესტერი აბრეშუმით ნაკერი—1 ც.; 39. თეთრი არშიანი ზეწარი—1 ც.; 40. ქალის თეთრი იუბკა—1 ც, 41. ცისფერი პიკეს საბანი—1 ც; 42. ნიკელის სამოვარი—1 ც.; 43. თეთრი მაუდის ბავშვის ბეშმეტი—1 ც., 44. ქალის ჩითის იუბკა—1 ც; 45. წითელი ჩითის ნაჭერი 22 არშ.; 46. ქალის შავი ჩითის იუბკა ყვავილებიანი—1 ც. 47. ხავერდის პლუშის სუფრა—1 ც.; 48. ორი სუფრადე ბარაკანის მატერიასა 2 ც.; 49. ნაცრის ფერი შალი—1 ც.; 50. შეკოლადის ფერი შალი—1 ც.; 51. თეთრი ქალის ნაბადი—2 ც.; 52. ნაცრის ფერი უჯრიანი შალი—1 ც; 53. შავი ქიშმირის შალი—1 ც; 55. ბამბის ფარდები—5 ც.; 55. ხავერდის ნაჭერი—$6^1/_4$ არშ.; 56. კავკასიური ხალიჩა—5 და 4 ჩეთ. არშ.; 57. კავკასიურ შალის ხალიჩა—$2^1/_2$ და $^1/_2$ არშ.; 58. ქალის როტონდი—1 ც; 59. ნაცრის ფერი სალდათის მაუდი—$2^1/_4$ არშ.; 60. თეთრი ტილოს სუფრა ნახმარი- 2 ც; 61. ასეთივე სუფრა ახალი—1 ც.; 62. ყვითელი ტყავის «რედიკიული», ძველი ბრასლეტი და ერთი წყვილი ოქროს საყურე ბავშვისა—3 ც.; 63. თეთრი, ქალის ლანკორტის სარჩ—1 ც. (3—5.—1)